დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა VI დონე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 2025 წლის 20 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი 31 .03.2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 13

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 23

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 31

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 33

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 40

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი - გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფო კილასონია - ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ჟურნალისტიკა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Journalism
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2024 წლის 18 იანვრის #41757
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას 2024 წლის 18 იანვრის №41757 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, ორი წლის განმავლობაში მონიტორინგის განხორციელების პირობით. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები შეეხებოდა I და II სტანდარტებს, აგრეთვე IV სტანდარტის 4.1 კომპონენტს (ადამიანური რესურსი). აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები როგორც შინაარსობრივი და სტრუქტურული, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული მიმართულებებით.

ვიზიტისას წარმოდგენილი ინფორმაციით გაირკვა, რომ ჟურნალისტიკის პროგრამა უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა წარსულშიც, თუმცა 2010 წელს, რესურსების სიმწირის გამო, მისი განხორციელება შეწყდა. ადმინისტრაციის განმარტებით, პროგრამის განახლება შესაძლებელი გახდა ინსტიტუციური გაძლიერებისა და აკადემიური პერსონალის პოტენციალის ზრდის შედეგად.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2023–2024 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში შიდა მობილობით ჩაირიცხა 10 სტუდენტი, ხოლო მომდევნო პერიოდში შიდა და გარე მობილობის ერთობლივმა მაჩვენებელმა 16-ს მიაღწია. პროგრამისთვის განსაზღვრული წლიური კონტიგენტი — 20 სტუდენტი — სტაბილურად ივსება, აღნიშნული გარემოება მოთხოვნის მდგრადობაზე მიგვანიშნებს.

პროგრამა არის 240 კრედიტიანი (ECTS) და გათვლილია 8 სემესტრზე. მისი მიზანია სტუდენტებს მისცეს როგორც საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული უნარები, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას იმუშაონ მულტიპლატფორმულ მედიაგარემოში, პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის სტანდარტების დაცვით. პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები 150 კრედიტია (მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი), ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები — 30 კრედიტი, ხოლო დამატებითი სპეციალობის (minor) ან თავისუფალი სასწავლო კურსები — 60 კრედიტი

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ბსუ-ში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა მ/წლის 20 ოქტომბერს. დღის წესრიგის შესაბამისად, სამუშაო შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ასევე, დათვალიერდა სასწავლო ინფრასტრუქტურა, მათ შორის პროგრამისთვის მნიშვნელოვანი სივრცეები— ნიუსრუმი და ტელესტუდია.

ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ გარემოში, რამაც ხელი შეუწყო საკითხების შინაარსობრივ განხილვას. ამასთან, სრულად და დროულად იქნა მოწოდებული

მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ადგილზეც გაკეთდა დამატებითი განმარტებები. შესწავლილი მასალებისა და ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტებმა შეაფასეს რეკომენდაციების შესრულების ხარისხი და მონიშნეს შემდგომი განვითარების შესაძლო მიმართულებები.

აღსანიშნავია ვიზიტის პროცესის მაღალორგანიზებულობა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთა მხარდაჭერამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შეუწყო ექსპერტთა მუშაობის პროფესიონალურ და თანმიმდევრულ წარმართვას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა რეკომენდაციების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები და დაადგინა, რომ პროგრამაში გატარებული ღონისძიებები ემსახურება აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაციები შესრულებულია. შესაბამისად:

- **I სტანდარტი** — შესაბამისობაშია;
- **II სტანდარტი** — შესაბამისობაშია;
- **IV სტანდარტი** — შესაბამისობაშია.

- **რეკომენდაციები**

➢ პროგრამის სტრუქტურაში კურსების თანმიმდევრობა გამოსწორდეს ისე, რომ „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ წინ უძღოდეს „ანალიტიკურ ჟურნალისტიკას“, რაც უზრუნველყოფს ცოდნის, უნარების და კომპეტენციის ეტაპობრივ განვითარებას.

➢ მიზანშეწონილია პროგრამამ ეტაპობრივად განაახლოს და დააზუსტოს სილაბუსები, კერძოდ — სრულად ასახოს რეალურად გამოყენებული სასწავლო რესურსები, უფრო ნათლად ჩამოაყალიბოს სწავლის შედეგები და ოპტიმიზირდეს მათი რაოდენობა, რათა სასწავლო დოკუმენტაცია იყოს უფრო თანმიმდევრული, გასაგები და შეფასების პროცესთან შესაბამისი.

➢ მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია მედია პარტნიორებთან მემორანდუმების განახლების შესახებ შესრულებულია და კვლევითი კომპონენტიც სათანადოდ არის გამართული, მიზანშეწონილია პროგრამამ უზრუნველყოს პრაქტიკული სწავლების უფრო სისტემური გაძლიერება — როგორც ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარების, ისე პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სასწავლო პროცესში სტრუქტურირებული ინტეგრაციის გზით, რათა სტუდენტთა პრაქტიკული გამოცდილება მეტად დაახლოვდეს რეალურ პროფესიულ გარემოსთან.

➢ მიზანშეწონილია სილაბუსებში გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმებისა და გრადაციების ფორმულირება, კერძოდ — თითოეული შეფასების კომპონენტის (შუალედური და ფინალური) კავშირი შესაბამის სასწავლო შედეგებთან, შეფასების კრიტერიუმები და დონეების (რუბრიკების) ქულობრივი დიაპაზონები.

- **რჩევები**

  - ➢ პროგრამის შინაარსში მეტად ინტენსიურად აისახოს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სპეციფიკა, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე;
  - ➢ ჟურნალისტიკის დარგის ინტერდისციპლინური განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, სასურველია პროგრამამ ეტაპობრივად გააფართოოს არჩევითი სასწავლო კურსების სპექტრი და სტუდენტებს შესთავაზოს დარგთაშორისი და თანამედროვე მედია-ეკოსისტემასთან დაკავშირებული მიმართულებები. მაგალითად, „სოციალური მედიის ანალიზი“, მონაცემებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა, აუდიტორიის კვლევა და ციფრული მედიაპროდუქტების ანალიზი სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას უკეთ გაიაზრონ კონტენტის გავრცელების მექანიზმები, აუდიტორიის ქცევა, ალგორითმების გავლენა და მონაცემთა ინტერპრეტაციის პრინციპები. მსგავსი კურსები გააძლიერებს პროგრამის ანალიტიკურ და პრაქტიკულ კომპონენტს, ხელს შეუწყობს სტუდენტების სპეციალიზაციას და მათ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის თანამედროვე, ციფრულ მედიაგარემოში საქმიანობისთვის.
  - ➢ პერიოდულად სილაბუსების შიდა კოლეგიალური გადახედვა უზრუნველყოფს ტერმინოლოგიურ თანმიმდევრულობას ყველა კურსში და შეამცირებს დუბლირების რისკებს.
  - ➢ სწავლის შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების განხილვაში სტუდენტების უკუკავშირის უფრო სისტემური გამოყენება ხელს შეუწყობს სწავლების პრაქტიკულ ეფექტიანობას.
  - ➢ სილაბუსების შემუშავებისთვის ერთიანი შაბლონის ან გზამკვლევის შემუშავება უზრუნველყოფს ფორმატისა და შეფასების ლოგიკის მეტ ჰარმონიზაციას.
  - ➢ სილაბუსების რეგულარული მონიტორინგის გაძლიერება ხელს შეუწყობს მცირე ტექნიკური და ფორმულირების ხარვეზების დროულად აღმოფხვრას.
  - ➢ სასურველია პროფესიული პრაქტიკის ცალკე კომპონენტის დანერგვა ან არსებული პრაქტიკული კურსების ფარგლებში პარტნიორ მედია ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმალიზება შეფასების განსაზღვრული კრიტერიუმებით.
  - ➢ მიზანშეწონილია ეტაპობრივად გაძლიერდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ტელე- და რადიოინფრასტრუქტურა), რათა პრაქტიკული სწავლება სრულად პასუხობდეს თანამედროვე სამაუწყებლო და რედაქციულ სტანდარტებს.
  - ➢ სასურველია პრაქტიკული სწავლების განვითარება სახელოსნოების პრინციპით — მულტიმედიური სამუშაო სივრცეების შექმნით, სადაც სტუდენტები პროფესიონალ ჟურნალისტებთან თანამშრომლობით იმუშავებენ რეალურ მედიაპროდუქტზე.
  - ➢ სასურველია სტუდენტური მედიაპროდუქტების ერთიანი ციფრული პლატფორმის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პროფესიული პორტფოლიოების ფორმირებას და გაზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს.
  - ➢ შეფასების ობიექტურობის ხელშესაწყობად, სასურველია, პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში (მაგ., ვებდოკუმენტი, ბლოგი, სიუჟეტი) შეფასების კრიტერიუმებში აისახოს ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა: შინაარსობრივი სიზუსტე, წყაროებთან მუშაობის ხარისხი, ტექნიკური შესრულება, ეთიკური სტანდარტების დაცვა და ა.შ.

➢ სასურველია შეფასების პროცესში მოკლე წერილობითი უკუკავშირის (მაგ. რეფლექსიის წერილი) პრაქტიკის დანერგვა, რაც სტუდენტს დაეხმარება უკეთ გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი მხარეები და განსაზღვროს განვითარების მიმართულებები.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები:**

სასწავლო წელი	ერთიანი ეროვნული გამოცდები	შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობა	შემოდგომის სემესტრის გარე მობილობა	გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობა	გაზაფხულის სემესტრის გარე მობილობა
2023-2024				10	
2024-2025	20	4	4	3	5
2025-2026	20	1	6		
სულ	40	5	10	13	5

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულება სრულად იზიარებს აკრედიტაციის დასკვნაში წარმოდგენილ ყველა რეკომენდაციასა და რჩევას. აღნიშნული პოზიცია ასახულია დაწესებულების საპასუხო წერილშიც, სადაც მითითებულია, რომ „ვეთანხმებით დასკვნის პროექტში მოცემულ დებულებებს და მიგვაჩნია, რომ მათი გათვალისწინება პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში (გრძელვადიან პერსპექტივაში) მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.“ ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას.

ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	აირჩიეთ შესაბამისი
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	აირჩიეთ შესაბამისი
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
4.4	მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	აირჩიეთ შესაბამისი

5.1	შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

<u>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები</u>
<u>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო</u>
<u>რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე</u>
<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც პროგრამამ უნდა ასახოს სწავლების სფეროს, საფეხურისა და პროგრამის სპეციფიკა, ასევე უნდა განსაზღვროს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს ფლობს კურსდამთავრებული.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის მიზნები ნათლად გამოხატავს ჟურნალისტიკის დარგის შინაარსსა და ბაკალავრიატის საფეხურის დანიშნულებას. აქცენტი კეთდება ისეთი კურსდამთავრებულის მომზადებაზე, რომელიც ფლობს როგორც თეორიულ საფუძვლებს, ისე პრაქტიკულ უნარებს და საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკის ნორმებისა და თანამედროვე მედიაგარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით. მიზნები თანმიმდევრულად აერთიანებს მასმედიის პროცესების ანალიზს, დარგის სპეციფიკის კრიტიკულ გააზრებასა და მულტიპლატფორმულ გარემოში მუშაობისთვის აუცილებელ პრაქტიკულ კომპეტენციებს.

ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია მედიის თანამედროვე სტანდარტების განმტკიცებაზე და პასუხისმგებლიანი, ეთიკური ჟურნალისტიკის განვითარების ხელშეწყობაზე. აღნიშნული მიმართულება ხაზს უსვამს პროგრამის სოციალურ როლსა და მის შესაბამისობას პროფესიულ მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობასა და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.

<u>რეკომენდაციები</u>

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<u>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</u>

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
<u>1.1</u> პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის ოთხი მიზანი გადანაწილებულია 12 სასწავლო შედეგზე. დაწესებულების ინფორმაციით, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამასა და სასწავლო გეგმაში განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც განახლდა მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა. ცვლილებების ამოცანა იყო მიზნებსა და შედეგებს შორის უფრო თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართული კავშირის უზრუნველყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლების შედეგებთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით შეისწავლა მათი შესაბამისობა როგორც პროგრამის მიზნებთან, ისე ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსთან, კურიკულუმის რუკაზე დაყრდნობით. აღნიშნულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შედეგები პროგრამის სტრუქტურაში თანმიმდევრულადაა განაწილებული და თითოეული მათგანი კონკრეტულ სასწავლო კომპონენტებთან არის დაკავშირებული.

ვინაიდან პროგრამა ახალია და სტუდენტებს ჯერ არ გაუვლიათ შედეგების შეფასების რუკაში წარმოდგენილი ყველა კურსი, უნივერსიტეტმა ამ ეტაპზე სრულად ვერ შეაფასა შედეგების მიღწევის ხარისხი. თუმცა მიმდინარე სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე განახორციელა რამდენიმე მიზნობრივი ცვლილება: „ქართული ენა ჟურნალისტებისთვის 1“-ის სილაბუსში გადანაწილდა თემები, ხოლო „ქართული ენა ჟურნალისტებისთვის 2“-ს

დაემატა სტილისტიკის საკითხები. აღნიშნული ცვლილებები აისახა როგორც სასწავლო გეგმაში, ისე კურიკულუმის განახლებულ რუკაში.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სწავლების შედეგები მოიცავს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის კომპონენტებს. ისინი პირდაპირ უკავშირდება პროგრამის მთავარ მიზანს — პროფესიულად მომზადებული, ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული და თანამედროვე მედიაგარემოს მოთხოვნებზე ორიენტირებული ჟურნალისტის ჩამოყალიბებას. შედეგები აერთიანებს როგორც თეორიულ საფუძვლებს (მედიის თეორიები, სტრუქტურები, ფუნქციები), ისე პრაქტიკულ უნარებს (ინფორმაციის მოძიება, ტექსტის შექმნა, მულტიპლატფორმულ გარემოში მუშაობა), რაც შეესაბამება ჟურნალისტიკის თანამედროვე პროფესიულ სტანდარტებს.

სწავლების შედეგები ფორმულირებულია ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად და გამოხატულია მოქმედებითი ზმნებით („აღწერს“, „წარმოაჩენს“, „განმარტავს“, „ამუშავებს“, „ქმნის“, „აფასებს“, „ხელმძღვანელობს“), რაც უზრუნველყოფს მათ გაზომვადობას. ისინი მოიცავს როგორც ცოდნის გააზრებასა და ანალიზს, ისე პრაქტიკული უნარებისა და ეთიკური პასუხისმგებლობის განმტკიცებას. შედეგად, პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს იმ კომპეტენციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მის დასაქმებას მედიის სფეროში ან სწავლის გაგრძელებას მომდევნო საფეხურზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და კურიკულუმის რუკა;
- სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის უნივერისტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 06-01/ 82 (17.09.2025);
- პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის მონიტორინგისათვის რეკომენდაციების შესრულებისა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის ანალიზი.

<u>**რეკომენდაციები**</u>

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<u>**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**</u>

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

<u>რეკომენდაციები</u>

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<u>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</u>

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	აირჩიეთ შესაბამისი

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

- ***რეკომენდაცია:*** *შეამცირეთ სავალდებულო მოდულების რაოდენობა, რათა შეიქმნას არჩევითი მოდულების მეტი წილი და მეტი ადგილი არჩევანისა და სპეციალიზაციისთვის.*

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის სავალდებულო კომპონენტის შემცირებას და არჩევითი მოდულების წილის გაზრდას, რათა სტუდენტს მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა ინდივიდუალური ინტერესებისა და პროფესიული ორიენტაციის შესაბამისად შეემუშავებინა საკუთარი სასწავლო გეგმა. დაწესებულებამ რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოადგინა განახლებული სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრა სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი/მაინორის კომპონენტების ახალი თანაფარდობა 150/30/60 (სასწავლო გეგმის მიხედვით 145/35/60) კრედიტის ფორმატით. აღნიშნული ცვლილება ზრდის არჩევანის შესაძლებლობას.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად: კურსები „სტრატეგიული კომუნიკაციები“ და „პოლიტიკის საკითხების გაშუქება“ სავალდებულო ბლოკიდან სპეციალობის არჩევით მოდულში გადავიდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შინაარსობრივად დასაბუთებულია, ვინაიდან ეს კურსები წარმოადგენს ჟურნალისტიკის დარგობრივ მიმართულებებს და არა იმ საბაზისო უნარებს, რომლებიც ყველა სტუდენტისთვის ერთნაირად აუცილებელია. მათი არჩევით კომპონენტში გადატანა ქმნის პროგრამის სტრუქტურულ ლოგიკას და ხელს უწობს საერთო და დარგობრივი კომპეტენციების გონივრულ განაწილებას.

არჩევითი კურსების ჩამონათვალს დაემატა ორი ახალი საგანი — „კლიმატგონივრული რეპორტინგი და კომუნიკაცია“ და „კულტურული მიმდინარეობები და მედიატექსტები“. აღნიშნული კურსები პროგრამას თემატურად ამრავალფეროვნებს და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ სპეციალიზებული ცოდნა კულტურულ და გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით.

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების პროფესიული გამოყენება. პრაქტიკაში ჟურნალისტები აქტიურად იყენებენ ტექსტის, გამოსახულებისა და ვიდეოს გენერირების სისტემებს, დეზინფორმაციის გამოვლენის მექანიზმებს, ბოტებისა და ავტომატიზებული კონტენტის იდენტიფიცირების საშუალებებს, მონაცემთა ანალიზისა და ნარატივების კონსტრუირების ციფრულ პლატფორმებს. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული მიმართულების უფრო ინტენსიური ინტეგრაცია სასწავლო კურსებში გააძლიერებს როგორც

თეორიულ გააზრებას, ისე პრაქტიკულ უნარებს — მათ შორის მონაცემთა ვიზუალიზაციის, სტრატეგიული კონტენტის დაგეგმვისა და ონლაინ დეზინფორმაციის გამოვლენის მიმართულებით, რაც პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე პროფესიულ სტანდარტებთან კიდევ უფრო გაზრდის.

პროგრამის წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს ახალი სავალდებულო კურსის — „ანალიტიკური ჟურნალისტიკა“ — დამატება, რომელიც ლოგიკურად წარმოადგენს განვითარების შემდგომ ეტაპს „ახალი ამბების ჟურნალისტიკის“ შესწავლის შემდეგ. „ანალიტიკური ჟურნალისტიკის“ წინაპირობად „ახალი ამბების ჟურნალისტიკის“ განსაზღვრაც შინაარსობრივად დასაბუთებულია, რადგან ანალიტიკური და განმარტებითი ფორმატების შექმნა ეფუძნება ფაქტების გადამოწმების, წყაროებთან მუშაობისა და ობიექტურობის პრინციპების საფუძვლიან ცოდნას. თუმცა პროგრამის შიდა სტრუქტურაში ამას საკითხთან დაკავშირებით იკვეთება ქრონოლოგიური შეუსაბამობა: „ანალიტიკური ჟურნალისტიკა“ განთავსებულია მეორე სემესტრში, ხოლო „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ — მესამეში. აღნიშნული განლაგება ეწინააღმდეგება სწავლების ეტაპობრივობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც სწავლის შედეგები უნდა ვითარდებოდეს თანმიმდევრულად — ცოდნიდან უნარებისკენ და შემდგომ კომპეტენციის ფორმირებამდე. შესაბამისად, მიზანშეწონილია „ანალიტიკური ჟურნალისტიკის“ გადატანა მესამე სემესტრში და „ახალი ამბების ჟურნალისტიკის“ განსაზღვრა მის წინაპირობად. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შიდა ლოგიკურ თანმიმდევრობას და აღმოფხვრის არსებული განლაგების ხარვეზს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, განხორციელებული ცვლილებები ასახავს რეკომენდაციების შესრულებას და მიუთითებს, რომ პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს საგნების არჩევის უფრო მრავალფეროვან შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები , სასწვლო გეგმა.
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_20325_2.pdf

<u>რეკომენდაციები</u>

- პროგრამის სტრუქტურაში კურსების თანმიმდევრობა გამოსწორდეს ისე, რომ „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ წინ უძღოდეს „ანალიტიკურ ჟურნალისტიკას“, რაც უზრუნველყოფს ცოდნის, უნარების და კომპეტენციის ეტაპობრივ განვითარებას.

<u>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</u>

- პროგრამის შინაარსში მეტად ინტენსიურად აისახოს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სპეციფიკა, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე;
- ჟურნალისტიკის დარგის ინტერდისციპლინური განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, სასურველია პროგრამამ ეტაპობრივად გააფართოოს არჩევითი სასწავლო კურსების სპექტრი და სტუდენტებს შესთავაზოს დარგთაშორისი და თანამედროვე მედია-ეკოსისტემასთან დაკავშირებული მიმართულებები. მაგალითად, „სოციალური მედიის ანალიტიკა“, მონაცემებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა, აუდიტორიის კვლევა და ციფრული მეტრიკების ანალიზი სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას უკეთ გაიაზრონ კონტენტის გავრცელების მექანიზმები, აუდიტორიის ქცევა, ალგორითმების გავლენა და მონაცემთა ინტერპრეტაციის პრინციპები. მსგავსი კურსები გააძლიერებს პროგრამის ანალიტიკურ და პრაქტიკულ კომპონენტს, ხელს შეუწყობს სტუდენტების სპეციალიზაციას და მათ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის თანამედროვე, ციფრულად ტრანსფორმირებულ მედიაგარემოში საქმიანობისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- ***გადახედეთ*** *სასწავლო გეგმის კურსებს, რათა თავიდან აიცილოთ შინაარსის გადაფარვა და დუბლირება, განსაკუთრებით საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედია პოლიტიკის კურსებში.*
- ***რეკომენდებულია,*** *სავალდებულო ლიტერატურად განისაზღვროს ქართულენოვანი უახლესი გამოცემის ლიტერატურა ცალკეულ სილაბუსებში.*

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია ითვალისწინებდა სასწავლო გეგმაში შინაარსობრივი გადაფარვისა და დუბლირების რისკების შემცირებას. აღნიშნულის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თემატურად ურთიერთდაკავშირებული კურსები, მათ შორის რეკომენდაციაში დასახელებული „პოლიტიკის საკითხების გაშუქება მედიაში“ და „პოლიტიკის ანალიზი და პროგნოზირება მედიაში“. შინაარსების შესწავლამ აჩვენა, რომ მიუხედავად თემატური სიახლოვისა, კურსები განსხვავდება როგორც მიზნებით, ისე კომპეტენციების სიღრმით. „პოლიტიკის საკითხების გაშუქება მედიაში“ ორიენტირებულია პოლიტიკური პროცესების გაშუქების პრაქტიკულ და ეთიკურ ასპექტებზე და წარმოადგენს სპეციალიზებულ დარგობრივ მოდულს, ხოლო „პოლიტიკის ანალიზი და პროგნოზირება მედიაში“ არის თეორიულ-ანალიტიკური კურსი, რომელიც მოიცავს პოლიტიკის შეფასებისა და პროგნოზირების მეთოდებს. ისეთი საერთო თემები, როგორებიცაა: პოლიტიკური პროცესების გააზრება, პროპაგანდა, კრიზისები, პოლიტიკური კომუნიკაცია განიხილება განსხვავებულ კონტექსტში. ამასთან, პროგრამის სტრუქტურაში პირველი კურსი არჩევითია, მეორე — სავალდებულო, რაც არ არღვევს შიდა ლოგიკას, ვინაიდან სავალდებულო კომპონენტი უზრუნველყოფს ანალიტიკურ საფუძველს, ხოლო არჩევითი — პრაქტიკულ გაღრმავებას.

ამავე რეკომენდაციის ფარგლებში შეფასდა თემატურად ახლო კურსები: „საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები“, „სტრატეგიული კომუნიკაცია“ და „სტრატეგიული წერა ჟურნალისტებისთვის“. შეფასებამ აჩვენა, რომ მიუხედავად გარკვეული ტერმინოლოგიური თანხვედრებისა (მაგ., „მედიატექსტი“, „საზოგადოებრივი აზრის ფორმირება“, „რბილი ძალა“, „მედია და საზოგადოება“), კურსები განსხვავებულ მიზანსა და ფუნქციას ემსახურება. „საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები“ ორიენტირებულია PR-ის არსზე, მის ძირითად პრინციპებზე, პროფესიულ ეთიკაზე, კრიზისულ კომუნიკაციასა და იმიჯის მართვაზე. „სტრატეგიული კომუნიკაცია“ განიხილავს სტრატეგიული კომუნიკაციის ანალიტიკურ საფუძვლებს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების კონტექსტში; მოიცავს კომუნიკაციის მოდელებს, პროპაგანდას, ინფორმაციული ზემოქმედების მექანიზმებს, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესებსა და ციფრული უსაფრთხოების საკითხებს. „სტრატეგიული წერა ჟურნალისტებისთვის“ კი პრაქტიკული კურსია, რომელიც ავითარებს ჟურნალისტური ტექსტის შექმნის ტექნიკას, ანალიტიკურ აზროვნებასა და თხრობის სტრუქტურირების უნარებს. შესაბამისად, მიუხედავად თემატური სიახლოვისა, კურსების შინაარსობრივი დუბლირება სისტემურ ხასიათს არ ატარებს.

ამავე რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში გაანალიზდა ჟურნალისტის პროფესიულ-ეთიკური კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული და ურთიერთდაკავშირებული კურსები: „მედიაეთიკა და თვითრეგულირება“ და „მედიასამართლის ძირითადი პრინციპები“. შეფასებამ აჩვენა, რომ „მედიაეთიკა და თვითრეგულირება“ ფოკუსირებულია პროფესიული ქცევის ეთიკურ სტანდარტებზე, პასუხისმგებლობის საზღვრებზე, ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნის პრინციპებზე, დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის თავიდან აცილებაზე, წყაროს დაცვის მნიშვნელობაზე. „მედიასამართლის ძირითადი პრინციპები“ კი

უზრუნველყოფს ამავე საკითხების სამართლებრივ ჩარჩოში გააზრებას და მოიცავს გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო საფუძვლებს, რეგულირების პრინციპებს, კომუნიკაციების კომისიის როლსა და შესაბამის სასამართლო პრაქტიკას. მიუხედავად თემატური გადაკვეთებისა (მაგალითად, პირადი ცხოვრების დაცვა და ინფორმაციის თავისუფლება), კურსები განსხვავებულ ფუნქციას ასრულებენ: მედიაეთიკა განსაზღვრავს პროფესიული ქცევის ზნეობრივ სტანდარტებს, ხოლო მედიასამართალი აყალიბებს მათ სამართლებრივ საფუძველს.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გაანალიზა ქართული ენის კომპეტენციის სამი სავალდებულო კურსი: 1) „ქართული ენის სპეციალური კურსი და აკადემიური წერა“, 2) „ქართული ენა ჟურნალისტებისთვის 1“ და 3) „ქართული ენა ჟურნალისტებისთვის 2“. შეფასებამ აჩვენა, რომ პირველი კურსი ორიენტირებულია სახელმწიფო ენის, როგორც ნორმირებული სისტემის ფუნქციებზე, აკადემიური წერის საფუძვლებსა და კვლევითი ტექსტის სტრუქტურულ ორგანიზებაზე. „ქართული ენა ჟურნალისტებისთვის 1“ ფოკუსირებულია მორფოლოგიურ საკითხებსა და საბაზისო ლექსიკურ ერთეულებზე, ხოლო „ქართული ენა ჟურნალისტებისთვის 2“ — სინტაქსურ, სტილისტიკურ ასპექტებსა და პრაქტიკული წერის უნარების გაღრმავებაზე. კურსებს შორის იკვეთება გარკვეული შინაარსობრივი გადაკვეთა: საერთო თემებს მიეკუთვნება ქართული ენის ეროვნული და სახელმწიფო მნიშვნელობა, ენის განვითარების ეტაპები, ლექსიკურ-სტილისტიკური საკითხები (მათ შორის შტამპები, კალკები, პარონიმია) და მართლწერის ძირითადი პრინციპები. თუმცა, სესიის ფარგლებში კურსის ავტორთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ საბაზისო თემები პირველ კურსში განიხილება ზოგად კონტექსტში, ხოლო შემდგომ კურსებში ისინი ვითარდება უფრო სიღრმისეულად და პრაქტიკული ამოცანების საფუძველზე.

სასწავლო კურსებთან დაკავშირებული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურის განახლებას. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ რიგ კურსებში — მათ შორის „აგროსაკითხების გაშუქება“, „ჟურნალისტური გამოძიება“, „კლიმატგონივრული რეპორტინგი“, „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“, „ტელემედია“, „პოლიტიკის ანალიზი და პროგნოზირება“ და „სოციალური საკითხების გაშუქება“ — სასწავლო მასალა განახლებულია და შეესაბამება თანამედროვე პროფესიულ და აკადემიურ მოთხოვნებს.

სილაბუსების მნიშვნელოვან ნაწილში კვლავ მითითებულია მოძველებული სახელმძღვანელოები, რაც ფორმალურად მიუთითებს სასწავლო რესურსების განახლების საჭიროებაზე. თუმცა, ადგილზე წარმოდგენილი მასალების გაცნობამ აჩვენა, რომ სილაბუსებში დაფიქსირებულ ლიტერატურასთან ერთად სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დამატებითი რესურსები — რიდერები, ჰენდაუთები და სხვა მასალები, რომლებიც კურსის ავტორების მიერ არის მომზადებული და ეფუძნება თანამედროვე საერთაშორისო წყაროებსა და კვლევებს. სტუდენტები პრაქტიკაში უზრუნველყოფილნი არიან განახლებული და აქტუალური სასწავლო რესურსებით, თუმცა დამატებითი მასალები (რიდერები და ჰენდაუთები) სრულად არ არის ასახული სილაბუსებში. აღნიშნული გარემოება საჭიროებს სასწავლო დოკუმენტაციის ტექნიკურ-რედაქციულ გამართვას, რათა

რეალურად გამოყენებული რესურსები უფრო სრულად და თანმიმდევრულად აისახოს ოფიციალურ დოკუმენტებში.

სილაბუსების ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ზოგიერთ კურსში სწავლების შედეგების ფორმულირება საჭიროებს დაზუსტებას, რათა ნათლად ჩანდეს მათი ლოგიკურად გადანაწილება სამ კომპეტენციურ ბლოკად — თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარი და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობა. კერძოდ, იკვეთება შემთხვევები, როდესაც თეორიული კომპონენტის ფარგლებში წარმოდგენილია პრაქტიკულ ან ავტონომიურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული შედეგები. ასე მაგალითად, „რადიომედიის“ კურსში ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში მითითებულია პრაქტიკული მოქმედებები („მოიპოვებს რელევანტურ ინფორმაციას“, „იყენებს ხმისჩამწერ პროგრამებს“); „კლიმატგონივრული რეპორტინგის“ შემთხვევაში პრაქტიკული შედეგები („გეგმავს“, „ამზადებს“) არ არის გამიჯნული ცოდნის კომპონენტისგან; „ბეჭდური მედიის“ კურსში ცოდნა-გაცნობიერების , შეფასებითი და ავტონომიური უნარები ურთიერთგადაფარულია. მსგავსად, „სოციალური საკითხების გაშუქება“, „მობილური ჟურნალისტიკა“, „ჟურნალისტური გამოძიება“ და „აგროსაკითხების გაშუქება“ კურსებში ცოდნა-გაცნობიერებისა და პრაქტიკული გამოყენების შედეგები ნაწილობრივ გადაფარულია, ხოლო „კულტურის საკითხების გაშუქებაში“ ავტონომიურობის ელემენტი შეტანილია ცოდნის ბლოკში.

ამასთან, ერთი და იმავე ზმნების („აანალიზებს“, „იაზრებს“, „აცნობიერებს“, „გამოკვეთს“) განმეორებითი გამოყენება სხვადასხვა კომპეტენციურ დონეზე გარკვეულწილად ართულებს შედეგების იდენტიფიცირებას და ცოდნის, უნარისა და პასუხისმგებლობის დონეებს შორის გამიჯვნას. აღნიშნული გარემოებაც მიუთითებს შედეგების ფორმულირების რედაქციული და მეთოდოლოგიური დაზუსტების საჭიროებაზე.

რამდენიმე სასწავლო კურსში სწავლების შედეგების რაოდენობრივი სიმრავლე ართულებს მათ ობიექტურად შეფასებას. მაგალითად, „რადიომედია“ მოიცავს 22 შედეგს, „კლიმატგონივრული რეპორტინგი“ — 20-ს, „ტელემედია“ — 14-ს, ხოლო „მობილური ჟურნალისტიკა“ — 13-ს. საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, თითოეულ კურსში 6–10 სწავლის შედეგის განსაზღვრა უზრუნველყოფს მეტ სიცხადესა და შიდა ლოგიკის დაცვას.

გარდა ამისა, გამოვლინდა გარკვეული ფორმალური ხარვეზები. კერძოდ, „სოციალური ფსიქოლოგიის“ და „სტრატეგიული წერა ჟურნალისტებისთვის“ სილაბუსებში სწავლების შედეგები არ არის წარმოდგენილი, ხოლო „საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები“ და „ქართული ენის სპეციალური კურსი და აკადემიური წერა“ კურსებში შედეგები არ არის სტრუქტურირებული კომპეტენციურ ბლოკებად (ცოდნა, უნარი, ავტონომიურობა/პასუხისმგებლობა), რაც ართულებს მათი სისტემურ აღქმასა და შეფასებას.

მიუხედავად წარმოდგენილი შენიშვნებისა და გარკვეული მეთოდოლოგიური დახვეწის საჭიროებისა, აღნიშნული სტანდარტის ფარგლებში საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია. იდენტიფიცირებული საკითხები ძირითადად შეეხება სილაბუსების ფორმულირებას, დოკუმენტურ გაუმართაობას და არ აყენებს ეჭვქვეშ სტანდარტის ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტები (რიდერები, პრეზენტაციები);
- ინტერვიუს შედეგები.

<u>რეკომენდაციები</u>

- მიზანშეწონილია პროგრამამ ეტაპობრივად განაახლოს და დააზუსტოს სილაბუსები, კერძოდ — სრულად ასახოს რეალურად გამოყენებული სასწავლო რესურსები, უფრო ნათლად ჩამოაყალიბოს სწავლის შედეგები და ოპტიმიზირდეს მათი რაოდენობა, რათა სასწავლო დოკუმენტაცია იყოს უფრო თანმიმდევრული, გასაგები და შეფასების პროცესთან შესაბამისი.

<u>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</u>

- პერიოდულად სილაბუსების შიდა კოლეგიალური გადახედვა უზრუნველყოფს ერთგვაროვან სტრუქტურას და ტერმინოლოგიურ თანმიმდევრულობას ყველა კურსში, ასევე შეამცირებს დუბლირების რისკებს.
- სწავლის შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების განხილვაში სტუდენტების უკუკავშირის უფრო სისტემური გამოყენება ხელს შეუწყობს სწავლების პრაქტიკულ ეფექტიანობას.
- სილაბუსების შემუშავებისთვის ერთიანი შაბლონის ან გზამკვლევის შემუშავება უზრუნველყოფს ფორმატისა და შეფასების ლოგიკის მეტ ჰარმონიზაციას.
- სილაბუსების რეგულარული მონიტორინგის გაძლიერება ხელს შეუწყობს მცირე ტექნიკური და ფორმულირების ხარვეზების დროულად აღმოფხვრას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
